



თსუ აკადემიური საბჭოს წევრთა
საარჩევნო კომისია

სულ: 9 წევრი
კვორუმი: 5 წევრი
სხდომის თარიღი: 7 ოქტომბერი, 2014 წ.

1 ირაკლი კობახიძე (თავმჯდომარე)




2 დემეტრე ეგნატაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)




3 გიორგი ამირანაშვილი (მდივანი)



4 ინეზა გაგნიძე



5 ნინო დურგლიშვილი



6 ვალერიან რამიშვილი



7 ეკატერინე ფირცხალავა



8 ჯენარა ქრისტესაშვილი



9 რამაზ ხომერიკი



**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კომისიის**

სხდომის ოქმი N1

7 ოქტ., 2014 წ.

თსუ მეორე აკადემიური კორპუსი, ოთახი N245

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიორგი ამირანაშვილი
2. ინეზა გაგნიძე
3. ნინო დურგლიშვილი
4. დემეტრე ეგნატაშვილი
5. ირაკლი კობახიძე
6. რამაზ ხომერიკი

დღის წესრიგი:

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა

მოსმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე წამოაყენა კომისიის წევრის, იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, ი. კობახიძის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე არჩეულ იქნეს ი. კობახიძე.

2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის არჩევა

მოსმინეს:

ი. კობახიძემ კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე წამოაყენა კომისიის წევრის, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტისა და დეკანის აპარატის უფროსის, დ. ეგნატაშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე არჩეულ იქნეს დ. ეგნატაშვილი.

3. საარჩევნო კომისიის მდივნის არჩევა

მოსმინეს:

ი. კობახიძემ კომისიის მდივნის პოზიციაზე წამოაყენა კომისიის წევრის, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტისა და ინტერნაციონალიზაციის და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტის, გ. ამირანაშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის მდივნის პოზიციაზე არჩეულ იქნეს გ. ამირანაშვილი.

4. საარჩევნო კანდიდატად რეგისტრაციისათვის წარმოსადგენ დოკუმენტთა ჩამონათვალის დამტკიცება

მოსმინეს:

ი. კობახიძემ კომისიას წარუდგინა წინადადება საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტებად (ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლისა და (ბ) ავტობიოგრაფიის (*Curriculum Vitae*) განსაზღვრის შესახებ, რომლებიც თან უნდა დაერთოს სარეგისტრაციო განცხადებას.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კანდიდატად რეგისტრაციისათვის სავალდებულოა (ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლისა და (ბ) ავტობიოგრაფიის (*Curriculum Vitae*) წარმოდგენა სარეგისტრაციო განცხადებასთან ერთად.

5. საარჩევნო კანდიდატთა სარეგისტრაციო განცხადების ფორმის დამტკიცება

მოსმინეს:

დ. ეგნატაშვილმა კომისიას წარუდგინა საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადების ფორმა (დანართი N1).

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

დამტკიცდეს საარჩევნო კანდიდატის სარეგისტრაციო განცხადების ფორმა (დანართი N1).

6. საარჩევნო კომისიის რეგლამენტის შემუშავება და დამტკიცება

მოსმინეს:

გ. ამირანაშვილმა და ი. გაგნიძემ კომისიას მიმართეს წინადადებით, გაგრძელებულიყო მუშაობა საარჩევნო კომისიის რეგლამენტზე და იგი განეხილათ და დაემტკიცებინათ კომისიის მორიგ სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის რეგლამენტი განხილულ და დამტკიცებულ იქნეს კომისიის მორიგ სხდომაზე.

7. კომისიის მორიგი სხდომის დროის განსაზღვრა

მოსმინეს:

ი. გაგნიძემ და ნ. დურგლიშვილმა კომისიას შესთავაზეს, მორიგი სხდომის ჩატარების დროდ განსაზღვრულიყო 8 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 16:30 სთ.

კენჭისყრის შედეგი:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

საარჩევნო კომისიის რიგით მეორე სხდომა ჩატარდეს 8 ოქტომბერს, ოთხშაბათს, 16:30 საათზე.

თავმჯდომარე

/ი. კობახიძე/

მდივანი

/გ. ამირანაშვილი/

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა
საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ ირაკლი კობახიძეს

ამავე უნივერსიტეტის

ფაკულტეტის დასახელება

პროფესორ _____

პროფესორის სახელი და გვარი

პირადი ნომერი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონ ირაკლი,

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს წევრთა საარჩევნო კანდიდატად _____ ფაკულტეტზე.

ფაკულტეტის დასახელება

განცხადებას თან ერთვის:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი — _____ გვ. (მიუთითეთ გვერდების რაოდენობა)
- ავტობიოგრაფია (*Curriculum Vitae*) — _____ გვ. (მიუთითეთ გვერდების რაოდენობა)

პატივისცემით,

ხელმოწერა

ტელ. ნომერი: _____

ელ. ფოსტის მისამართი: _____

ფაქტობრივი მისამართი: _____

_____ ოქტომბერი, 2014 წ., თბილისი